განკარგულება:**g-47.47211185**
თარიღი:**28/04/2021**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 21**

**დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის,, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ ,, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

**საკრებულო ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) 15 (თხუთმეტი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1954 (ათასცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი